ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 პარასკევი, 20 ივლისი № 1529

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე. კვირა უქმეების გარდა

დილით:

გ. ი. ჭაჭანაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ტ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

მ. გ. ფელდტროვი—შინაგანი და საბავშვო 1—2 საათამდე.

გ. დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდ.

ი. დ. ბეკთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

მთავრობის განკარგულებანი

სახელმწიფო ვალების კომისიის ბუღალტერს კოლეჟსკი სეკრეტარს ქორქოლაძეს ებოძა ტიტულიარნი სოვეტნიკობა.

სენაკის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს ნადვორნი სოვეტნიკს ტატიშვილს ებოძა კოლეჟსკი სოვეტნიკობა;

კოლეჟსკი ასესორებს ოზურგეთის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს კეჟერაძეს და ბათუმისას—თავ. ლორთქიფანიძეს ებოძათ ნადვორნი სოვეტნიკობა.

საყურადღებო განცხადება

ამას წინად ჩვენ შემთხვევა გვქონდა გვესაუბრა მკითხველთან ერთ დიდ უბედურების შესახებ, რომელსაც მეტის-მეტი ზარალი მოაქვს სასოფლო მეურნეობისათვის. ჩვენ ვწერდით, რომ სეტყვა შეიქმნა საშინელ მტრად მეურნეთათვის და რომ დროა ჩვენც ვიღონოთ რამე მასთან საბრძოლველად. მაშინ ჩვენ მივათითეთ მოსავლის სეტყვისაგან დაზღვევაზე, როგორი ღონისძიებაც ნაცადია განათლებულ ქვეყნებში და რომლის საშუალებით ცოტად თუ ბევრად სულს იბრუნებს სეტყვისაგან დაზარალებულ-გაუბედურებული მეურნე. ეჭვს გარეშეა, რომ მოსავლის დაზღვევა ჩვენშიაც კარგ ნაყოფს მოიტანს, თუ რიგიანად იქმნა ეს საქმე მოწყობილი, და ამიტომ ურიგო არ იქმნება, რომელიმე დაწესებულებამ ან თვით მეურნეთაგან შემდგარმა ამხანაგობამ ითავოს ამ საქმის მოწყობ-მომზადება...

გარდა დაზღვევისა დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში, როგორც წინადაც ვწერდით, ყველა მეურნეთა ყურადღება მიქცეულია ერთს ახალს საშუალებაზე, რომელსაც მეცნიერებამ მიათითა და რომლისაგან ხსნასა და დიდ შველას მოელიან. ეს არის—მორტირებით (ზარბაზნებით) გაფანტვა სეტყვიან ღრუბლებისა.

ამ საშუალების შესახებ დაწვრილებით ცნობებს ჩვენ შემდეგში მოვიყვანთ, ეხლა კი ვიტყვით მხოლოდ, რომ მისმა გამოცდამ დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში ამ ბოლო ხანებში საკვირველი ნაყოფი მოიტანა. თითქმის ყველგან, სადაც კი ეს ღონისძიება საკმაოდ რიგიანად და წესიერად იღონეს, შესაძლებელი შეიქმნა სეტყვიან ღრუბლის თავიდან აშორება. მეცნიერებიც და მეურნეებიც ერთხმად აღიარებენ, რომ მორტირებით სეტყვიან ღრუბლის მოსპობა უბრალო ფანტაზია არ არის, არამედ ფაქტი, მრავალჯერ შემოწმებული და ნაცადი. სადაც გაიმართა მორტირების სადგური და სადაც წესიერად ასრულებულ იქმნა მეცნიერების მოთხოვნილება ამ საქმის შესახებ, ყველგან დარწმუნდნენ, რომ სეტყვის საშინელს მოქმედებას ძალა აღარ აქვს. ამ გვარმა შედეგმა გამოიწვია მთელს ევროპაში გაცხარებული მოწყობა მორტირების სადგურებისა და ეხლა ბევრი ადგილი უკვე მოფენილია ამ სადგურებით. ამერიკაში სხვა-და-სხვა შტატების მთავრობა დახმარებას უჩენს მეურნეთ და თითქმის სრულის თავის ხარჯით აშენებს ამ სადგურებს; ევროპის სხვა-და-სხვა სახელმწიფოში თვით მეურნენი და საზოგადოებანი ცდილობენ მორტირების გავრცელებას.

როგორც იციან მკითხველებმა, ამ საშუალების გამოცდასა და მოხმარებასაც-კი შეუდგა კახეთში საუფლისწულო უწყება. მაგრამ ეს, რასაკვირველია, მხოლოდ ერთი წვეთია, რომელსაც არ ძალუძს არა თუ მთელი ჩვენი ქვეყანა იხსნას საშინელ მტრისაგან, არამედ მარტო კახეთსაც უშველოს რამე. გამოცდილება ამბობს, რომ ამ ღონისძიებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა და მნიშვნელობა, როდესაც რომელიმე მხარე მრავლად გაიჩენს მორტირების სადგურებს. ამიტომაც საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს ამ საქმეს, რათა ეშველოს რამე ჩვენს უპატრონო და უმწეო მეურნესაც.

ამ მხრით დიდის თანაგრძნობისა და ყურადღების ღირსია ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტისათვის წარდგენილი განცხადება, რომლის შინაარსს აქვე გადავცემთ მკითხველთ. ეს წინადადება წარუდგენია ხსენებულ კომიტეტისათვის კომიტეტის წევრს ბ. გიორგი ჟურულს.

წინადადების ავტორს ყურადღება მიუქცევია ბანკის ერთ-ერთ თანხისათვის, სახელდობრ—ეგრედ წოდებულ ექსტრაორდინალურ თანხისათვის. ბანკის წესდების ძალით, ამ თანხის დანიშნულებაა—დახმარება დაზარალებულ მეურნეებისა. როგორც აღმოჩნდა, ბანკს, თავის დაარსებიდან დღემდის, 117 ათას მანეთზე მეტი გაუცია ამ თანხიდან დაზარალებულ მეურნეთა დასახმარებლად; შესანიშნავია ის გარემოება, რომ 95% გაცემული ფულისა რგებია სეტყვისაგან დაზარალებულთ; აქედანაც ცხადად სჩანს, თუ რა საშინელი ვნება მოაქვს ჩვენის ქვეყნისათვის ამ სტიქიონს და როგორ საჭიროა მასთან ბრძოლა. განცხადების ავტორი სამართლიანად ამბობს, რომ ექსტრაორდინალურ თანხის მოხმარება იმ რიგად, როგორც დღემდის სწარმოებს, ქვეყანას სარგებლობას ვერ მოუტანს. დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენა არა-თუ ნამდვილი ღონისძიება არ არის საერთო უბედურების წინააღმდეგ, არამედ თვით დაზარალებულთა წყლულსაც ვერ უშველის. ამიტომ ბ. ჟურული ჰფიქრობს, რომ უნდა შეიცვალოს პრინციპი ამ თანხის მოხმარებისა: მის საშუალებით ბრძოლა უნდა გაეწიოს არა უბედურ შემთხვევათა შედეგს, არამედ იმ მიზეზთ, რომელნიც იწვევენ მეურნის გაუბედურებას. როგორც ზევითა ვთქვით, უმეტესი ნაწილი დაზარალებულთა, რომელთაც დახმარება დასჭირდა, სეტყვისაგან დაზარალებული ყოფილა და, რასაკვირველია, უმჯობესი იქმნება ისევ სეტყვას გავუწიოთ ბრძოლა და რამდენადაც შესაძლებელი იქმნება შევამციროთ თვით დაზარალებულთა რიცხვი. ამ სამართლიან მოსაზრების ძალით, ბ. ჟურული წინადადებას იძლევა, რომ ექსტრაორდინალურ თანხის ნაწილი (ხუთი ათასი მან.) გადიდვას ყოველ-წლივ მორტირების სადგურთა მოსაწყობად ტფილისის გუბერნიის სოფლებში. ამგვარ სადგურების გამართვა ძვირი არ ყოფილა: თითო მორტირა 150 მანეთი ღირებულა და თითო გასროლა რამდენიმე კაპეიკი ჯდება მხოლოდ; ერთ მორტირას შეუძლიან იმუშაოს 25—50 დესეტინის მანძილზე, ასე რომ, მაგალითად, ვენახების დასაფარავად მაინცა-და-მაინც ბევრი სადგური არ იქმნება საჭირო. თუ ბ. ჟურულის წინადადება მიღებულ იქნა, 5—10 წლის შემდეგ ქართლ-კახეთში ბლომად იქმნება სადგურები და სეტყვასთან ბრძოლა საკმაოდ მოწყეს რიგებული იქმნება ვენახების დასაფარავად მაინც; ხოლო თუ ამ საქმისთვის გადასადები ჯამი გადიდებულ იქმნა, ვთქვათ 10 ათას მანეთამდე, მაშინ 10—12 წლის განმავლობაში მთელი გუბერნია მოიფინება ხსენებულ სადგურებით და სეტყვასთან ბრძოლა მკვიდრ ნიადაგზე დადგება...

ჩვენის ფიქრით, ეს წინადადება დიდის ყურადღების ღირსია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ზედამხედველი კომიტეტი და ბანკის გამგეობა გულმოდგინედ განიხილვენ მას. ექსტრაორდინალურის თანხის ახლანდელის წესით მოხმარება თითქმის ფუჭად, უსარგებლოდ რჩება ქვეყნისათვის; ყოველ წლივ ამ თანხიდან 5 ათასი მანეთი რომ გადიდვას, თუნდ მარტო ცდისათვის, ქვეყანას ამით არაფერი მოაკლდება; ხოლო განათლებულ ქვეყნების პრაქტიკა გვეუბნება, რომ ამ გზას, ამ საშუალებას ბრწყინვალე მომავალი აქვს და, მაშასადამე, ფულის დაკარგვაზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება: ამ საქმისათვის ყოველს გადადებულს გროშს ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა და სარგებლობა ექმნება მთელის ჩვენის ქვეყნისათვის, ვიდრე თითო-ოროლა მემამულისათვის რამდენიმე ათას და ას მანათის მიცემას.

სახალხო სამკითხველოებზე

ჩვენ ვერ გაგვიგია, რა დანიშნულება აქვს «სამკითხველოს», სასახლის ქუჩაზე რომ იმყოფება. თუ «სახალხოა» ის, ყველა დაგვეთანხმება, რომ სასახლის ქუჩაზე ამ დაწესებულებას ადგილი არა აქვს. თუ სახალხო არ არის, რად აწერია ზედ „იაფფასიანი სახალხო სამკითხველო“.

„წერა-კითხვის საზოგადოებამ“, რომლის ინიციატივით იყო გახსნილი ეს სამკითხველო და რომელიც იხდის ამ საქმისათვის საჭირო ხარჯს, უნდა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და გადაიტანოს «სამკითხველო» იქ, სადაც იგი აასრულებს თავისს ნამდვილ დანიშნულებას—ავლაბარში, ან სხვა რომელიმე განაპირა უბანში.

ამ საქმის ასრულებაში მოსაყვანად დიდი ხარჯი არ მოუვა „საზოგადოებას“. ამ ჟამად «საზოგადოება» იხდის სახლის ქირას (მაღაზიის, წიგნთ-საცავის და სამკითხველოს, რომელიც მაღაზიის გვერდითაა) თოთხმეტ თუმანს. ამ ფულს რომ თვეში ერთი თუმანი დაუმატოს, იქირავებს ოთახს განაპირა უბანში და იქ გადაიტანს „სამკითხველოს“, რომელსაც მაშინ გაუჩნდება თავისი მკითხველი. მხოლოდ ის ოთახი, რომელშიაც ამ ჟამად „სამკითხველო“ იმყოფება, საზოგადოებასვე უნდა დარჩეს, რადგან აუცილებლად საჭიროა იქონიოს „საზოგადოებამ“ იმგვარი წიგნთ-საცავიან მოწყობილი ოთახი, სადაც მეცადინეობა და შრომა შეიძლებოდეს ყველა იმათთვის, ვინც მოისურვებდა ჩვენი ძველი ხელთ-ნაწერების შესწავლას და გადასინჯვას იმ მასალისა, რომელიც „საზოგადოების“ წიგნთ-საცავში იმყოფება.

იმედია, „წ. კ. საზოგადოება“ დაგვეთანხმება ჩვენ ამაში და „სახალხო სამკითხველოს“ დაუყოვნებლივ გადაიტანს განაპირა უბანში და აასრულებინებს თავის დანიშნულებას და 2) გაიჩენს სამუშაო ოთახს, რის საჭიროება დღითი დღემდე უფრო და უფრო გამოაშკარავდება.

მხოლოდ ჩვენ გვინდა მივაქციოთ ყურადღება მეორე გარემოებაზედაც. ქუთაისში, ქალაქის შუა-გულში გახსნილია ამ გვარივე იაფ ფასიანი სამკითხველო. ქალბატონი ელენე ჯინოვისა, ამ საქმის ინიციატორი, აგროვებს ფულს ამ სამკითხველოსათვის საკუთარ შენობის ასაგებად. ჩვენ გვგონია, რომ საქმისათვის ბევრად უფრო სასარგებლო იქნებოდა ამ ფულის სხვა ნაირად მოხმარება. ქუთაისის მთელ „გაღმა“ მხარეს, სადაც სცხოვრობს ღარიბი ქალაქის ნაწილი, არ აქვს არც ერთი ამგვარი დაწესებულება. საკუთარი შენობის აგება, ჩვენის აზრით, ქალაქის გულში არსებულ სამკითხველოსათვის უსაფუძვლო ფულის დაკარგვაა. სამკითხველო დაქირავებულ სახლშიაც კარგად იმოქმედებს. მხოლოდ იმ ფულით, რომელიც ამისათვის გროვდება, ქუთაისის განაპირა უბნებში რომ სახალხო სამკითხველოები გახსნილიყო, „სახალხო ქუთაისის საქმე“ ბევრს მოიგებდა.

იმედია, ქალბატონი ელენე ჯინოვისაც დაგვეთანხმება ჩვენ და თავის მეცადინეობით შეგროვილ ფულით გააცხოველებს სახალხო საქმის ვითარებას ქუთაისში.

ყველა ამის გარდა, ჩვენ გვინდა მოვაგონოთ „წ. კ. საზოგადოებას,“ რომ აუცილებლად საჭიროა მეტის მხნეობის და მეცადინეობის გამოღება ხალხში წერა-კითხვის გავრცელების საქმეში. ზემოხსენებული ქუთა-

ისის „გაღმა მხარე“ და ჩვენი ავლაბარი, ჩუღურეთი, ხარფუხი და სხვ. უბნები ელიან თავიანთ სამკითხველოებს. დავეშუროთ და საქმეს სახვალიოდ ნუ გადავდებთ.

არჩილ ჯორჯაძე.

ორიოდე სიტყვა ჩვენი საზოგადო საქმეების გამო

როდესაც საზოგადო ცხოვრებაში სხვადასხვა მიმართულება ერთი მეორის საწინააღმდეგოდ არსდება და ვრცელდება, ყოველი ჯგუფის წარმომადგენელი თავისებური, წინდაწინ შემუშავებულ-შეთვისებული საბრძოლველი საშუალებით უნდა ხელმძღვანელობდეს. ვინც უფრო მოხერხებულ-წინდახედულ საშუალებას ხმარობს, ის იმარჯვებს. ჩვენს ცხოვრებაშიაც, ეჭვს გარეშეა, რომ ორი დიამეტრალურად მოწინააღმდეგე მიმართულება ერთი მეორეს ებრძვის: ყოველგან და ყოველივე ჩვენებურ საზოგადო დაწყებულებაში, ერთის მხრით არის ხალხის, უმრავლესობის, კეთილი აზრის წარმომადგენელნი, მეორეს მხრით ცხოვრებაში გამოხრაკულ-გამოტაფული, პირადი მისწრაფება-ლტოლვილებანით აღჭურვილი საზოგადოების წევრნი; ყოველივე კეთილი მოქმედების საწინააღმდეგო აზრი უფრო ადვილი განსახორციელებელია; საქმის დარღვევა-დაფუშვა ძლიერ ადვილია, აშენება-გაკეთება კი ძნელი; ამიტომ ის ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, ვინც დარღვევა-დაქცევის სურვილს ემსახურება, უფრო იმარჯვებს; საქმის გამმაგრებელ ამშენებელი ჯგუფი ჩვენი საზოგადოებისა უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაშია: გარეგანი პირობები არა თუ ხელს უწყობს თავის დასაფარავი საშუალების მომძებნელს, წინააღმდეგ, კიდევაც უშლის; ყოველივე უკეთური, საზოგადოებური მიზნის საწინააღმდეგო აზრი უფრო მეტ მომხრე თანამგრძნობელს, დამხმარეს ჰპოულობს ჩვენში, ვიდრე კეთილი აზრის მომხრენი. ამნაირ მდგომარეობაში ყოველი საზოგადო საქმე განსაცდელშია ჩვენში, თუ ეხლავე შეერთებული ძალით არ ვიმუშავეთ, ვიზრუნეთ საზოგადოების კეთილ-დღეობისათვის. უსათუოდ მიუცილებელი საჭიროა წინდაწინ მოფიქრებული, აწონ-გაზომილი სამოღვაწო გეგმის შემუშავება. სავალდებულოა ყველა ჩვენებური საზოგადო მოღვაწისათვის წინდაწინ იცოდეს, რა შემთხვევაში როგორ მოიქცეს, როგორი ხასიათი მისცეს ამა თუ იმ ცხოვრებისაგან წამოყენებულ კითხვებს. თუ მრავალნაირი სამეცნიერო და ხელოვნების გამავრცელებელი საზოგადოება საჭიროებს ამ ჟამად რჩევა-მოლაპარაკებას და საერთო ძალით მოქმედებას, ჩვენი გამოურკვეველი, ათასნაირი უკულმართობით გაჟღენთილი საზოგადო საქმე უფრო მეტს ყურადღება-წინდახედულებას მოითხოვს ჩვენგან. ყველაზე მეტად საჭიროა ამ ჟამად ჩვენი თვით-მმართველობების წარმომადგენლების შეერთებული თათბირი-მოლაპარაკება: რანაირ პრაქტიკულ მოქმედება მეცადინეობას დავადგეთ, რომ არსებული, უმაღლესი წყალობით მინიჭებული ქალაქის მცხოვრებლებზე უფლებანი შევინახოთ, შევირჩინოთ; როგორც ყოველივე ჩვენებურ საქმეში, ისე თვით-მმართველობის საქმეების გაძღოლ-გამგებლობის საქმეში ორნაირი აზრის მიმდევარნი არიან ჩვენ მოღვაწეებთა შორის: ერთნი—პირდაპირი, წმინდა პრინციპიალური მოქმედების გულწრფელი თაყვანის მცემელნი არიან, მეორენი—პრაქტიკული ცხოვრების დროებითი წეს-წყობილების და მოთხოვნილება-განწყობილების შეთვისება-შეთანხმების მქადაგებელნი არიან; ამ ორ სხვა-და-სხვა აზრთა შორის შეიძლება საერთო, შუათანა, რამე პრაქტიკული მოღვაწეობის გამოსადეგი გეგმა შემუშავდეს. დიდად საჭიროა საერთო მოლაპარაკება, შეთანხმება, ერთგვარი სამოღვაწეო გეგმის შემუშავება, რომელიც სავალდებულო უნდა იყოს სახელმძღვანელოდ ყველა სამოქალაქო საქმეების გამგე მოსამსახურე მოღვაწეებისათვის. ყოველთვის სჯობს ადამიანი, თუ გინდ თავის აზრის წინააღმდეგ წავიდეს, მაინც საერთო გარდაწყვეტილებას დაემორჩილოს, ვინემ თავის ნებით, კერძო შეხედულებით გარდასწყვიტოს საერთო საქმე. ამას გარდა, საჭიროა გარეშე დახმარება, ხელის გაწყობა სასურველი აზრის გასატან-დასამკვიდრებლად ყველა ჩვენებურ შეგნებული წევრებისაგან. ერთი სიტყვით, დრო არის ვიფიქროთ, ვიზრუნოთ რამე ჩვენი საზოგადო საქმეების უნუგეშო მდგომარეობისაგან გამოსახსნელად და გადასარჩენად.

ნიკო თავდგირიძე

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

18 ივლისი.

ალჟირი. ნაშუადღევს ვალდერზე ჩამოვიდა ნაპირზე, სადაც მას დახვდა საპატიო რაზმი ზღვის ჯარებისა და ზუავებისა. უფროს გენერლის თანამდებობის ალმასრულებელმა წარუდგინა ფელდმარშალს აფიცრების კორპუსი. ვალდერზემ მადლობა სთქვა კარგის მიღებისათვის და მოიგონა თვისი კარგი განწყობილება საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსთან ჩინეთში. გერმანელი აფიცრები და ჯარისკაცები იქცევდნენ მთელის ქალაქის ყურადღებას. გერმანელ ჯარისკაცებს ადგილობრივ ჯარის უფროსმა მიუყენა უნტერ-აფიცრები, რომელთაც „გერა“-ზე გაუმასპინძლდენ გერმანელი უნტერ-აფიცრები. გერა მიდის აქედან 18 ივლისს და მივა კუქსჰაფენში 26 ივლისს.

ბერლინი. სარწმუნოებათა ყოფილი მინისტრი ბოსსე გარდაიცვალა.

ლონდონი. კიტჩენერი დეპეშით იტყობინება პრეტორიიდან: «გენერალი უოლტერ კიტჩენერი მოქმედებს ჩრდილოეთით მადლბურგიდან ბემ ვილემის წინააღმდეგ. გუსარის მე-19-ე პოლკმა გაჩქარებულის მარშის შემდეგ დავლათ აიღო ერთი ჩქარა მსროლელი ზარბაზანი. გუსარის მე-18 პოლკი მოვიდა დროზე, რომ დახმარებოდა 20-ის ფურგონის წართმევაში და 32 ბურის დატყვევებაში; 5 ბური დაჭრილია. გუსარის მე-19-ე პოლკს დაუჭრეს ამდენივე“.

კიევი. კიევის სატუსაღოში აღმოაჩინეს ყალბი ხუთმაურიანები. დამნაშავე კატორგა გადაწყვეტილი პატიმარია; ნახეს ფორმები და სხვა იარაღი.

ღამით დიდი ცეცხლი იყო ბაზარში, დაიწვა 10 დუქანი.

კლემენტიევო. 18 ივლისს, დღის 12 საათზე, აქ ჩამოვიდა დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრესძე საარტილერიო აღლუმის მოსახდენად.

ვარშავა. ჩრდილოეთ ამერიკიდან ჩამოვიდა სლოვაკელი თომა მიტნიაკი 200.000 მანეთის დოლარის მამულების საყიდლათ იმ თანამემამულეთათვის, რომელთაც ამერიკაში ავიწროებენ ინგლისლები და გერმანელები.

ლოძი. კოლონისტ დობერშტეინმა, სოფ. როგოჟნოდან, მოჰკლა თავისი ცოლი ტყეში და სადღაც მიიმალა. პოლიცია დაეძებს მკვლელს. მას დარჩა ოთხი შვილი. მკვლელობის მიზეზი არ იციან.

კალუგა. კალუგის ბაღოსნობის განყოფილების შუამდგომლობის გამო მიწადმოქმედების სამინისტრომ დაუნიშნა კალუგის გუბერნიას ბაღოსნობის მასწავლებელი, რომელიც ივლის გუბერნიაში.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ლორდების პალატამ მეორედ წაკითხვისა და განხილვის შემდეგ დაამტკიცა კანონი მეფის ფიცის შეცვლის თაობაზე. კამათი პირველმა მინისტრმა ლორდ სოლსბერიმ დაიწყო. ლორდმა სთქვა: ეხლანდელი მეფის ფიცის ფურცელში კათოლიკური სარწმუნოების ზოგიერთი წესი ისეა მოხსენებული, როგორც კერპთა თაყვანის მცემლობა და ცრუმორწმუნოება, ეს ფიცი მეტად საწყენია დიდი ბრიტანიის ქვეშევრდომ კათოლიკეებისათვის. ხსენებული ფურცლის შეცვლას მარტო ირლანდია კი არა, კიდევ ზოგიერთი ახალშენიც, მაგალითად, კანადა თხოულობსო. მთავრობა სთხოვს პალატას, ახალი შეცვლილი ფიცის ფურცელი დაამტკიცოს. ამ ფურცლის თანახმად, მეფე მხოლოდ დაიფიცავს, რომ კათოლიკური სარწმუნოების ზოგიერთი წესი და წირვა ეწინააღმდეგებიან პროტესტანტის სარწმუნოებას, რომელსაც მეფე წმინდად და მტკიცედ დაიცავს. მცირე კამათის შემდეგ პალატამ, 96 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 6-სა, ეს კანონი დაამტკიცა. თითქმის ყველა კათოლიკე სარწმუნოების ლორდებს კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

საფრანგეთი. ფრანგულ გაზეთებს თუ დავუჯერეთ, ისე გამოდის, თითქო წარსულ კვირას სადეპარტამენტო საბჭოების წევრების არჩევანში ყველა დასებს გაემარჯვნოთ. რადიკალებისა და სოციალისტების გაზეთები აცხადებენ, ამომრჩევლების შესამჩნევმა ნაწილმა მარცხნივ გადინაცვლა ადგილიო, ზომიერ-რესპუბლიკელების (მელინისტების) დასიც თავის მხრივ აცხადებს, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩაო. ნაციონალისტებსაც გამარჯვებულად მიაჩნიათ თავიანთი თავი, რადგანაც საფრანგეთის მამულიშვილების კავშირის რამდენიმე წევრი აარჩია ხალხმა. თითონ მონარხისტებიც კი ისე იქცევიან, თითქო კმაყოფილნი იყვნენ არჩევნების შედეგით, თუმცა რეაქციონერებმა 50 ადგილზე მეტი დაჰკარგეს. ასე ნაირ-ნაირად იმიტომ აფასებენ არჩევნების შედეგს, რომ ახლად არჩეული საბჭოს წევრების მომეტებული ნაწილი უცნობი ხალხი არიან, არავინ იცის, რომელ პოლიტიკურ დასს მიემხრობიან. ამნაირად ეხლანდელი არჩევნის მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ გამოირკვევა, როცა სადეპარტამენტო საბჭოები მოქმედებას დაიწყებენ, ახალი წევრები თავიანთ აზრს გამოსთქვამენ ამა, თუ იმ საგანზე და კენჭის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ. მაგრამ ახლაც კი ითქმის, რომ არჩევანმა საზოგადოდ ცუდად ჩაიარა რესპუბლიკის მოწინააღმდეგეებისათვის და სხვა და სხვა რესპუბლიკელმა ჯგუფებმა წინანდელი ადგილები შეინარჩუნესო.

ბელგია. დეპუტატთა პალატაში 18 ივლისს დიდი შფოთი და აყალ-მაყალი მოხდა. ერთმა დეპუტატ-კლერიკალმა ვერგეგემმა ლაპარაკის დროს რაციონალისტური და ქრისტიანული სარწმუნოება შეადარა ერთმანერთს და გაზ. «ჟერმინალი»-ის ფელეტონი ახსენა. ამ გაზეთში სხვათა შორის სოციალისტები ვანდერველდე, ფიურნემონი და დესტრეც თანამშრომლობენ. სოციალისტები წამოხტნენ და ორატორს ლანძღვა დაუწყეს: «ბიჭო! მხდალო! იეზუიტო» და სხვა ამისთანა. დანბალმა მეფეც ცუდად ახსენა. როცა კლერიკალი ორატორი კიდევ ეცადა ლაპარაკი განეგრძო, სოციალისტმა ტერვანმა სიტყვა გააწყვეტინა და მიაძახა: «თქვენ მღვდელი და ორატორი რენარი გავიწყდებათ. რენარი ამას წინად მღვდლობიდან გადადგა და ცოლი შეირთო!» ორატორმა უპასუხა: «თქვენთვის დამითმია რენარიცა და მისი ცოლიც!» ამ სიტყვებმა უფრო გააბოროტეს სოციალისტები. ესენი წურბოით უყვიროდნენ, «დედა-კაცის შეურაცხყოფა მხოლოდ ლაჩარი, მხდალი კაცის საქმეაო!» და სთხოვდნენ პრეზიდენტს, ორატორი გააჩუმეო. ამ დროსაც ბევრი საწყენი სიტყვა ითქვა მეფეზე. თავმჯდომარემ საჭიროდ სცნო და დროებით სხდომა დახურა. როცა სხდომა ხელ-ახლად დაიწყო, ვანდერველდემ გამოაცხადა, ვიდრე ბოდიშს არ მოიხდის, მანამდე კლერიკალ ვერგეგენს მხდალ კაცად ვაგდებთო. ვერგეგემმა დაარწმუნა სოციალისტები, თქვენი წყენა გულშიც არა მდებიათო. ასე დასრულდა ეს ამბავი.

შეერთებული-შტატები. სინდიკატის ზოგიერთ ქარხნებში მუშაობის დაწყებას აპირებდნენ. სწორედ ამ ქარხნების ახლოს გაფიცულ მუშების კავშირმა პატარა-პატარა ადგილის ნაჭრები აიღო იჯარით და ზედ დარაჯებისათვის კარვები დადგა. პიტსბურგის მოხელეებმაც თავიანთი მხრივ პოლიციელების რაზმი გაგზავნეს და გაფიცულთა დარაჯებს ახლო დააყენეს. მუშებს წესიერება მაინც აქამომდე ერთგულად არ დაურღვევიათ. დიდი ზარალი მოსდის თურმე სინდიკატს; მცოდნე კაცების ანგარიშით, ყოველ დღე 50,000—75,000 დოლარამდე ეკარგება, მის აქციების ფასს ორის კვირის განმავლობაში 55 მილ. მანეთი დააკლდა. მუშების მეთაურებსა და სინდიკატის წარმომადგენლებს შუა ყოველ-დღე მოლაპარაკება იმართება, მაგრამ მაინც ვერა რიგდებიან. სინდიკატი არა სთანხმდება მუშებს ქირა მოუმატოს. მუშებიც არ აპირობენ დათმობას, თუმცა თითონაც დიდი ზარალი მოსდით. სინდიკატს შეეშინდა, ვაი თუ უფრო მეტი ზარალი მომივიდესო, და თავის ვექილებს დაავალა, სთხოვეთ უმაღლეს სასამართლოს, განკარგულება მოახდინოს და გაფიცულ მუშებს გარეშე მუშების საქმეში ჩარევა აუკრძალოსო.

სამხრეთ აფრიკა. «ტაიმს»-ს დეპეშით ატყობინებენ პრეტორიიდან: კრიუგერს თითქმის იგივე პასუხი მიუცია სტატს სეკრეტარ რეიცისათვის, რაც პრეზიდენტმა შტეინმა მისცა. როგორც ვიცით რეიცი, სწერდა შტეინს, მგონი სჯობდეს ბრძოლაზე ხელი ავიღოთ და ზავი შევკრათო. კრიუგერი შტეინივით ჰფიქრობს, რომ შესაძლებელია ევროპაში უთანხმოება ასტყდეს და ამიტომ ბურებმა ბრძოლა უნდა განაგრძონო და მტკიცედ უნდა იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მხოლოდ ამ გზით დაიბრუნებენ დამოუკიდებლობასაო. კრიუგერი უმატებს, რომ სახელმწიფოების შველის იმედზე კი სამუდამოთ ხელი უნდა ავიღოთო.

✡ ზოგიერთ ფრანგულ გაზეთს უთქვამს, იქნება ცოლის სიკვდილმა კრიუგერზე იმოქმედოს და გული გაუტეხოსო. ამაზე «ინდეპანდანს ბელჟ» უპასუხებს: «კრიუგერის ცოლის სიკვდილს არავითარი გავლენა არ ექნება პოლიტიკურ საქმეებზე. მართალია, დიდი უბედურებაა ცოლის სიკვდილი, მაგრამ კრიუგერი მაინც არასოდეს არ დასთანხმდება ტრანსვაალი ბრიტანიის მბრძანებლობას დაუმორჩილოს. უნდა იცნობდეთ პრეზიდენტს, თუ რა ძლიერი მხნეობისა და რწმენის კაცია; სიკვდილამდე ერთი აზრისა იქნება: ომი მედგრად უნდა განვაგრძოთ. თუნდ მთელმა ბურების ჯარმა იარაღი დაჰყაროს და მარტო ორიოდე მცირე რაზმი დარჩეს, მაშინაც არ შედრკება და იტყვის: «ვიდრე უკანასკნელი პატრონა გამოგველევა, უნდა ვიბრძოლოთო!» კრიუგერი დევეტზე და ბოტაზე ნაკლები გმირი არაა.»

გერმანია. ახალ სადამოჟნო ტარიფს ბერლინელებმა თურმე «მოგახშეების ტარიფის» სახელი დაარქვეს. ეს ტარიფი მხოლოდ მემამულეებს მოეწონათ. ესიამოვნათ იმ პირებსაც, ვინც მთავრობისაგან კარგს არას მოელოდა. «აი ესეც თქვენი ახალი კურსი და ლიბერალი ბიულოვიო,—ნიშნის მოგებით ამბობენ კანცლერის მოწინააღმდეგეები,—ეხლანდელი ხალხი, ლაპარაკზე თუ მივარდა, ერის ინტერესებსაც პატივსა ვცემთ, ფიხტესაც ვეთაყვანებით, მუშების სიკეთისთვისაც ვზრუნავთ, საქმით კი მემამულეების უბრალო მსახურნი ვართ. ჯერ ხომ ვერ შეიცნობთ, მაშ რად მემტერებით?—ჰკითხა ბიულოვმა ერთს თავის მოკამათეს, როცა პირველად რეიხსტაგში გამოვიდა.—ეხლა კი კარგად გიცანით, ტკბილად მოუბარო გრაფო,—უპასუხებენ ბიულოვს—თქვენი პროგრამმაც ორი სიტყვით გამოითქმის: ჰენრიხ IV (საფრანგეთის მეფე იყო მე-XVII საუკუნის დასაწყისს) ნატრობდა, ნეტავი იმ დროს მოვესწრო, რომ ყოველი ფრანგი გლეხი ქათმის ხორცს სჭამდესო; თქვენ კი იმას ნატრობთ, რომ გერმანელს მუშას ისიც მოჰპაროთ, რაც ჯერ კიდევ გააჩნია. ათასში ერთხელ, კვირაობით, ბატს შეიწვავს ხოლმე და ისიც გნებავთ სუფრიდან აალოთ.»

ეს იქნება ცოტა ტლანქად, გაუთლელად იყოს ნათქვამი, მაგრამ თითქმის ამ სიტყვებით მიეგებნენ ახალ ტარიფს. დიდად აღელდა გერმანიის ერი. თუ ბიულოვი ასე მონასავით დაემორჩილებოდა მებატონებს და ყველა სურვილს შეუსრულებდა, თვით ამას მთავრობის დაუძინებელი მტრებიც კი არ მოელოდნენ. ყოველნაირ ხორბალს: პურს, ჭვავს, ქერს, ყველაფერს ბაჟი მოუმატეს. ფშვრიას ხომ ერთი ორად და უფრო მეტიც დაადვეს, მაგრამ მარტო პურის ბაჟის მომატებას არ ეკ-

მარეს. იციან და: «წერილ არს, რამეთუ არა პურითა ხოლო სცხონდების კაცი». რომ გერმანელებს ბევრი ხორცის ჭამა არ აწყენს, მსხვილ საქონელსაც ერთი სამად მოუმატეს ბაჟი. ბატის ხორცსაც სურავანდს იტყვიან და ამიტომ ამ ფრინველსაც თავისი კეთილი ყურადღება მიაქციეს და დიდი ბაჟი დაადვეს. არ დაივიწყეს და ბარემ ზედ მიატანეს: კვერცხი, ქონი, ძეხვი და სხვა. სუყველაფერს 100% და თითქმის 300% მოუმატეს. თუ ეს ტარიფი დამტკიცდა, რუსეთმა მარტო გერმანიაში გაყიდული ბატებისა და კვერცხის ბაჟი 8 მილიონი მარკა (თითქმის 4 მილიონი მანეთი) უნდა იხადოს. გერმანიის ერს ხომ უფრო ცუდი დღე დაადგება. ჯერ წინანდელი ტარიფის დროსაც კი გერმანელები ყოველ წელს 700.000,000 მარკა (1 მარკა=46 კაპ.) ბაჟს იხდიდნენ მებატონეების სასარგებლოდ; ახალი ტარიფის თანხმად ეს ხარჯი 1 მილიარდამდე ავა... ეს კია, რომ ჯერ ეს მხოლოდ პროექტია, გერმანული ანდაზა კი ამბობს: «წვენს ჯერ ცოტა გაანელებენ და ისე სჭამენო». იქნება ეს პროექტიც ცოტათი მაინც გაანელონ...

როცა შტუტგარტის გაზეთმა ეს ტარიფი გამოაცხადა, ბევრმა არც კი დაიჯერა, ტყული იქნებაო. მაგრამ ბევრმა მთავრობის მომხრე გაზეთმა გადაჭრით გამოაცხადა, რომ სულაც არაა მოგონილი, ნამდვილად მთავრობის პროექტი გამოაცხადა შტუტგარტის გაზეთმაო, აგრარიებს სწორედ მაგნაირ შემწეობას დაჰპირდა ბიულოვიო. მთავრობის მოწინააღმდეგეები ახლავე საბრძოლველად დაემზადნენ. მარჯვე დროც დაუდგათ საამისოდ: ყველგან მოუსავლობაა, პურს ფასი თავად, უახლტარიფოდაც მოემატება. ქალაქელ მუშებს გარდა, სოფლელ გლეხებსაც საყიდელი გაუხდებათ პური. მრეწველობის კრიზისმა კი მუშებს შემოსავალი შეუმცირა და უსაქმო ხალხი გაამრავლა. ამიტომ ოპოზიციას გამარჯვების იმედი აქვს მით უფრო იმედი აქვს, რომ ამ ბოლო დროინდელმა დამატებითმა არჩევანმა დაამტკიცა, რომ აგრარიების დასი, ცოტა არ იყოს, შერყეულიაო. მემელის ოლქში, სადაც ადრე ნიადაგ განთქმულ ფელდმარშალ მოლტკეს ირჩევდნენ, აგრარიები, კონსერვატორები და ლიბერალები შეერთდნენ არჩევნის დროს, მაინც ოპოზიციის წარმომადგენლებმა მეტი ხმა მიიღეს. მეორედ უნდა მოხდეს კენჭის ყრა და დიდი იმედია, რომ სოციალ-დემოკრატების კანდიდატმა გაიმარჯვოს.

ახალი ამბავი

✦ უწმინდესმა სინოდმა აუხსნა საქართველოს ეგზარხოსს ყოვლად უსამღვდელოესს ფლაბიანეს, რომ გურია-სამეგრელოს და იმერეთის ეპისკოპოსებმა საეკლესიო და სასკოლო ზოგიერთ კითხვების შესახებ საქმე უნდა იქონიონ სინოდთან საქართველოს ეგზარხოსის საშუალებით. სინოდის ხსენებულ ახსნაში მოყვანილია მთელი რიგი კითხვებისა, რომელთა შესახებ იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსებმა უნდა მოხსენებანი წარუდგინონ ხოლმე საქართველოს ეგზარხოსს («კავკაზი».).

✦ როგორც გვატყობინებენ, კავკასიის მთავარმართებელი თავ. გოლიცინი პეტერბურგიდან ტფილისში აგვისტოს თვის 20-ს ჩამოვა.

✦ კვირას, 22 ივლისს, მადათოვის კუნძულზე „შრომის“ სადგომში დილის 10 საათისათვის დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის დურგალთა ამხანაგობის “შრომის“ წევრთა სხვა-და-სხვა საგნების განსახილველად; კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს ამხანაგობის გამგეობის ნახევარი წლის მოქმედების ანგარიში; მოხსენება გამგეობის ორის წევრის მოქმედების შესახებ; მოხსენება კრედიტის მოპოვების შესახებ და სხვა. სასურველია კრებას მეტი წევრნი დაესწრნენ.

✦ მომავალ გამოფენისთვის ჩვენი მხატვარი ალექსანდრე მრევლიშვილი ამზადებს სამ სურათს. ერთი სურათია — „მირქმა — ძველი აღთქმიდან ამოღებული სიუჟეტი; მეორე — „უკანასკნელნი მცველნი“ — ქართულ ცხოვრებიდან; მესამე — ფანტასტიური სურათი, ნიკოლოზ ბარათაშვილის «მერანი».

✦ როგორც ვიცით, კავკასიის სამეურნეო-საზოგადოების ქუთაისის განყოფილება შუამდგომლობდა, რომ ნება მიეცათ ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ მემამულეთათვის წარმოედგინათ **მომავალ გამოფენისათვის** ვაზის, ხეხილის და დეკორატიულ მცენარეების ნერგები. ეხლა, როგორც „კავკაზი“ იტყობინება, მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა ბ. მედვედიევმა არ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა, რადგანაც ქუთაისის გუბერნიაში ფილოქსერაა და შეიძლება ხსენებულ ექსპონატებს გამოჰყვეს ეს სენიო.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტროს განზრახვა აქვს დიდი ყურადღება მიაქციოს ამიერ კავკასიაში **ჩაის პლანტაციების** საქმის განვითარებას. ამ მიზნის მისაღწევად სამინისტრო ჰგზავნის სპეციალისტებს, რომელნიც უსასყიდლოდ აღმოუჩენენ დახმარებას ჩაის პლანტაციების მეპატრონეებს: ხელ-მძღვანელობას გაუწევენ მუშაობის დროს და თვალ-ყურს ადევნებენ ჩაის ბუჩქის მოვლას.

✦ **ამიერ კავკასიის რკინის გზის** სადგურ ბალაჯარსა და ვოლჩი-ვარატას შუა რკინის გზის მეორე ლიანდაგი სრულიად დამთავრდება ოთხშაბათს, 25 ივლისამდე. 12 საათიდან ამ შტოზე რკინის გზის სამართველოს განკარგულებით დაიწყება მატარებლების მოძრაობა; ვოლჩი ვარატიდან ბაქომდე მიმავალ მარჯვენა მხარის ლიანდაგს ერქმევა სამხრეთი გზა, ხოლო მარცხენას—ჩრდილოეთისა. ამ მეორე შტოს გახსნის შემდეგ სრულიად დაიხურება მე-786 ვერსტზე რკინის გზის შტო.

✦ სიღნაღის მაზრიდან **ბევრი გლეხი** მოაწყდა ტფილისს სამუშაოს საშოვნელად, რადგან იქითკენ წელს მეტად ცუდი მოსავალია. ტფილისს კი ეგრე რიგად მუშები არ ეჭირვება. ბევრ გლეხს საქონელიც თან მოუდენია იმ იმედით, რომ აქ კარგ ფასებში გავჰყიდდნენ, მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდათ: ჩარჩებმა ისარგებლეს იმ შემთხვევით, რომ საქონლის პატრონებმა არა იცოდნენ-რა აქაურის წესებისა და სულ მცირე ფასებში იყიდეს მოდენილი საქონელი. ზოგ გლეხს ორი შაურის გადახდაც კი არ შეეძლო, რომ ქალაქის ბაკში მიეყვანა საქონელი და ამით ცოტა უფრო რიგიან ფასში გაეყიდა იგი.

✦ საგუბერნიო ადმინისტრაციის განკარგულებით, საზოგადოებაში გავრცელებულ ხმების გამო—მანგლისში დიფტერიტი არისო—ადგილზე გაიგზავნა გუბერნიის ექიმის თანაშემწე მაჭავარიანი. ხსენებულ ექიმის მოხსენებიდან სჩანს, რომ ამ ზაფხულს მანგლისში არც ერთი **გადამდები ავადმყოფობა** არ ყოფილა.

✦ ტფილისის გუბერნიის ექიმის თანაშემწის ბ. ბრომძლის მოხსენებიდან სჩანს, რომ ბორჩალოში არსად **გადამდები ავადმყოფობა** არ ყოფილა, გარდა ერთის სოფლისა, სადაც აქა-იქ ქუნთრუშა სჭირვებიათ ბავშვებს. ამ სოფელში (პრივოლნოე) ბ. ბრომძელს ფერშალი დაუტოვებია ავადმყოფების ყურის საგდებლად.

✦ საექიმო დეპარტამენტის მოწერილობის თანახმად, საექიმო გამგეობა შეეკითხა ყველა მაზრის და სოფლის ექიმებს ეგრედ წოდებულ „**კიბო**“-ს **ავადმყოფობის** გავრცელებაზე სხვა და სხვა ადგილას. სხვათა შორის, ბორჩალოს მაზრის ექიმი იტყობინება, რომ 12 წლის განმავლობაში მას არ შეხვედრია ხსენებულ მაზრაში ეს ავადმყოფობა.

✦ ამ დღეებში ნაძალადევის იქით იპოვეს ხრამში **მოკლული კაცი**. გამოძიებით აღმოჩნდა, რომ იგი ავლაბრელია და უბედურების დღეს ქეიფობდა რკინის გზის ერთ მუშასთან. კარგა რომ დაელიათ, ერთმანერთში ჩხუბი მოსვლოდათ და ჩხუბის დროს რკინის გზის მუშას დანით სასიკვდილოდ დაეჭრა თავისი ამხანაგი. მკვლელი დააპატიმრეს.

✦ პოლიციის პირველ ნაწილში წილკანის ქუჩაზე, სამშაბათს, 17 ივლისს, საღამოს 7 საათზე, **ერთი უბედურება** მოხდა: ამ ქუჩაზე მცხოვრებს მელანია თვალიაშვილისას გაუფრთხილებლობით გავარდნია რევოლვერი და ტყვია მოხვედრია იქვე მეზობლად მცხოვრებ მაისურაძის ბავშვს $3^1/_2$ წლის მიხეილ მაისურაძეს. ბავშვი მაშინვე მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნიათ. მკურნალების შემოწმებით, ბავშვი ძალიან მძიმედაა თურმე დაჭრილი.

✦ ცნობილ **ყაჩაღის ჩოლახ-ბალის** სიკვდილის შესახებ გვატყობინებენ შემდეგს: ჩოლახ-ბალი, თავის ჩვეულებისამებრ, მოშორდა ბრბოს და ერთ სოფელში ორ გლეხს ცხენის წართმევა მოუნდომა. ერთმა გლეხმა ისარგებლა შემთხვევით: რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კეტი დაჰკრა ყაჩაღს ხელში და თოფი გააგდებინა. ეს რომ მეორე გლეხმა დაინახა, ფიწალი ჩაჰკრა გვერდში და დასჭრა. ჩოლახ-ბალი მაინც მოახტა ცხენს და გაიქცა. პოლიციამ შეიტყო ეს ამბავი, გამოუდგა ყაჩაღს და მიეწია, როგორც ვიცით ჩათახის ქარხანასთან. პოლიციის დარაჯებმა რამდენიმე თოფი ესროლეს და მოჰკლეს აღმოჩნდა რომ მოკლულს ხუთზე მეტი ტყვია ჰქონდა სხეულში.

✦ სასამართლოს უმცროსი მოხელე ტაბლიევი, რომელსაც **როდიონოვის** ქალის მოკვლა უნდოდა და რომელმაც შემდეგ რევოლვერი დაიცა თავის მოსაკლავად, ექიმების სიტყვით, მალე მორჩება. გამომძიებელი უკვე იყო მასთან და გამოჰკითხა საქმის გარემოება.

✦ ბ. **ხიდეკელისა** და სიონისტების საზოგადოების თავმჯდომარის შტრეიხერის საქმე (პალესტინის რუქის გამო) უნდა გარჩეულიყო გუშინ, მაგრამ, რადგან მოწმეები არ გამოცხადდნენ, საქმე გადაიდო სხვა დროისათვის.

✦ ტფილისის **ოლქის სასამართლოს** სისხლის სამართლის პირველი განყოფილება დღეს, 20 ივლისს სხვა საქმეთა შორის განიხილავს საქმეს ნიკოლოზ მჭეიძისას, რომელსაც ქურდობის ჩადენა ედება ბრალად.

✦ ოთხშაბათს, 25 ივლისს, ტფილისის **ოლქის სასამართლოს** სისხლის სამართლის მეორე განყოფილებაში განსახილველად დანიშნულია, სხვათა შორის, შემდეგი საქმეები: ალექსი გიორგის ძე უსუპაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლა ბრალდება; გიორგი სამონის ძე წიკლაურისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1642 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენა ბრალდება და ივანე მერაბიშვილისა, რომელსაც ქურდობის ჩადენა ედება ბრალად.

✦ „ნორ-დარ“-ის სიტყვით, სომხეთა ცნობილ ფილოლოგს ბასმაჯიანს განუზრახავს ახალი თხზულება „აიარცან“, რომელშიაც მოყვანილი იქნება აღწერა **სომხეთის ისტორიულ ნაშთებისა** და ადგილებისა. ამ შრომის გამოცემას ილიუსტრაციებით დასჭირდება 1000 მ. ბასმაჯიანს ხელის მოწერა გაუმართავს ამ ფულის მოსაგროვებლად.

✦ **ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში**, შენობის შეკეთების გამო, სწავლა დაიწყება მხოლოდ 1-ლ ოქტომბრიდან, მისაღები ეგზამენები—27 ენკენისთვიდან.

✦ **ფოთის პოლიცმეისტრის** თანაშემწე ბ-ნი კახიძე ავადმყოფობისა გამო, თანხმად თხოვნისა, დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან; კახიძის ადგილზე პოლიცმეისტრის თანაშემწედ დაინიშნა ბაღდადის ნაწილის ბოქაული ბ-ნი გრეკოვი.

✦ ტფ. საქალაქო სამხედრო **საქმეთა საკრებულოში** პოლიციის წარმომადგენლად დაინიშნა ბოქაულ დუშინსკის მაგიერ ბოქაულის თანაშემწე ამატუნი.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერი სთხოვს ბ. ტფილისის გუბერნატორს აუკრძალოს ყველა აგურხანების პატრონებს **მაზუტის ხმარება**.

✦ ვეძინის ქუჩის მცხოვრებნი სთხოვენ ქალაქის გამგეობას ხსენებულ ქუჩის მოწესრიგებას დ მოკირწყვლას.

✦ ქალაქის პირველ ნაწილის ბოქაულმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, გაგზავნოს **ქალაქის მიწის მზომელი** იმის გამოსაკვლევად, თუ სად თავდება ქალაქის საზღვრები ვერაზე, სომხების სასაფლაოს მხრივ. ეს თხოვნა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ზოგიერთები სვიმონოვისაგან შეძენილ მიწებზე აპირობენ სახლების აგებას ქალაქის გამგეობის ნებადაურთველად: ჩვენი ადგილები ქალაქის საზღვრებში არ არიანო, გაიძახიან თურმე ისინი.

✦ კავკასიის ოლქის გზათა სამმართველოს გარდაუწყვეტია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გზების გაკეთებას **შავის ზღვის ნაპირებზე**.

✦ ხუთის თვის განმავლობაში ღამის **მორიგე ექიმებისათვის** ძმ. ენიკოლოფოვების აფთეკაში დაუძახნიათ 207-ჯერ.

✦ სადგური ავჭალა. 18 ივლისს ავჭალის სადგურის ტელეგრაფისტი ბახტაძე რკინის გზის ლიანდაგზე გადადიოდა და ამ დროს სადგურში შემოვიდა მატარებელი №-169, წამოედო ბახტაძეს მარჯვენა მხარზე, წააქცია და მხარი ატკინა. დაშავებული რკინის გზის საავდმყოფოში გაგზავნეს.

✦ სადგური საბუნჩა. 17 ივლის მატარებელი №-89 მე-8 ვერსტზე საბუნჩის ტოტზე წამოეწია ორს ლიანდაგზე მიმავალ მგზავრს, ქვეშ მოიტანა ისინი და იქვე მოკლა. ორივე მოკლულები სპარსეთის ქვეშევრდომნი უნდა იყვნენ.

✦ სადგ. ახალსენაკი. 18 ივლისს, ქვალონსა და ახალსენაკშუა მე-28 ვერსტზე მატარებელი №-348 დაეჯახა კამბეჩს. ორთქლმავალს დაუშავდა ქვიშის საყრელი ღარები და ცილინდრის ონკანი, მატარებელი გააჩერებული იყო 10 წამს.

✦ სამშაბათს, 17 ივლისს, ნაშუადღევის 2 საათზე ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურზე გაუფრთხილებლობისა-გამო მეისრეს ვასილ ნაბიჭვრიშვილს მატარებელმა დაუშავა მარცხენა ხელი. დაშავებულს სამკურნალო შემწეობა აღმოუჩინეს.

✦ პოლიციის პირველს ნაწილში, 17 ივლისს, კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს შესავალთან პოლიციელს უნახავს მიგდებული ორის კვირის ბავშვი მდედრობითი სქესისა, რომელიც ოლგას საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელე კოლეჟსკი სეკრეტარი კოლო გრიგოროვი დაინიშნა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის მმართველის უფროს თანაშემწედ.

✦ ოთხშაბათს, 18 ივლისს, შუა ბაზარში ნაშუადღევის ორ საათზე ჩხუბი მოუვიდათ სიმთვრალის დროს ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფელ. საზანოს მცხოვრებს სპირიდონ ენუქიძესა და ხარაგაულის მცხოვრებ გიორგი კიკნაძეს; ჩხუბის დროს კიკნაძემ დანით დასჭრა ენუქიძე პირის სახეზე; ენუქიძე მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს შემწეობის აღმოსაჩენად. ჭრილობა იმდენად მსუბუქი ჰქონია, რომ შეხვევის შემდეგ შინ წასულა; კიკნაძე პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

✦ ნიკოლოზ ზალცმანის 182 მან. 10 კაპ. მეორე ქურდი—ავდოტია პავლეს ასული ჩერვეჩენკოვიც პოლიციამ შეიპყრო და პასუხის გებაში მისცა.

პრესსა

ბევრი დაწერილა და თქმულა სოფლის მასწავლებელთა შევიწროებულ მდგომარეობის შესახებ! ვინ არ იცის, რა აუტანელ ნივთიერ გარემოებაში სცხოვრობენ ისინი და როგორ უძნელდებათ მათ ამის გამო თავის წმიდა მოვალეობის აღსრულება. ყველამ იცის, მაგრამ ეს საქმეს არ შველის და მათი მდგომარეობა ამით არ უმჯობესდება.. ეხლა, როდესაც სწავლა-განათლების რეფორმაზე მიდგა ჯერი, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებთან ერთად უნდა გაიხსნეს პირველ დაწყებითი და სახალხო სკოლებიც და მათ რეორგანიზაციის შესახებაც დაიწყეს ლაპარაკი. ამ საქმეში გაზეთები უმთავრეს ყურადღებას აქცევენ სოფლის მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს. სხვათა შორის, „კრიმსკი კურიერი“ ამბობს, რომ სახალხო სკოლის მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობე-

სობისათვის არავითარი ღონისძიება არ უნდა დავიშუროთო.

„სოფლის მასწავლებელთ, ამბობს გაზეთი, მეტად მძიმე საქმე აწევთ კისერზე, მაგრამ ჯილდო მათის შრომისა მეტად მცირე არის. სამწუხაროდ, ჩვენ ღარიბნი ვართ და არ შეგვიძლია ერთბაშად დიდი ფული გადავდვათ ამ საქმისათვის. ხოლო ის მაინც შესაძლებელია, რომ ყოველ-გვარ, თუნდ მცირე საშუალებასაც, მივმართოთ და ცოტათი მაინც გავაუმჯობესოთ სოფლის მუშაკ-მასწავლებელთა მდგომარეობა. ერთ ამგვარი საშუალებად, მაგალითად, უნდა ჩაითვალოს ამ მასწავლებელთა შვილების აღზრდა. სახაზინო საშუალო სასწავლებელთ ადვილად შეუძლიათ გაანთავისუფლონ ყოველ-გვარ ხარჯისაგან სოფლის მასწავლებელთა შვილები, რომელნიც ხსენებულ საწავლებლებში არიან. ჭეშმარიტად, სამართლიანობა იქნება უფასოდ ისწავლონ იმ მუშაკთა ბავშვებმა, რომელნიც მეტად მცირე ჯილდოს სჯერდებიან და პატარა, დახუთულ და ბნელ ოთახში უანგაროდ ასწავლიან ხალხის შვილებს“.

* * *

გაზეთ „კასპში“ დაბეჭდილია სამთო ინჟენერის ბ. კარპინსკის წერილი, რომლითაც ყურადღებას აქცევს რკინის გზის პოლიციის უმცროს მოხელეთა თავგასულობას. ბ. კარპისკი მოწამე ყოფილა ისეთის სამწუხარო სცენისა, რომ სრულიად მოთმინებიდან გამოსულა, თვისდა საუბედუროდ, ჩარეულა საქმეში და შეურაცხყოფა მიუღია. ბ. კარპინსკი სწერს:

1 ივლისს, ღამით, საბუნჩის სადგურზე მე და რამდენიმე მგზავრი მატარებელს ვუცდიდით და პლატფორმაზე დავდიოდით მესამე კლასის დარბაზის წინ. დარბაზში ჩუმად ისხდა რამდენიმე თათარი, რომელნიც ჩვენსავით მატარებელს ელოდნენ. სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა და ჩვენ დავინახეთ შემდეგი: მოვიდა რკინის გზის პოლიციის ჟანდარმი და შეუდგა „წესიერების აღდგენას“. ეს საქმე მან ამგვარად აასრულა: მოვიდა მგზავრ-თათართან, მარცხენა ხელით კისერში სწვდა და მარჯვენათი უწყალოდ ცემა დაუწყო; ასე მოექცა ყველა იქ ჩუმად და წყნარად მყოფ თათარს. ამ სანახაობამ მეტად ამაღელვა; მივმართე ჟანდარმს შენიშვნით და ვსთხოვე საჩივრის წიგნი მოეცა საჩივრის ჩასაწერად. ჟანდარმი წავიდა წიგნის მოსატანად, მაგრამ აღარ დაბრუნებულა. მის მაგიერ მოვიდა მეორე და ესეც იმგვარადვე შეუდგა «წესიერების აღდგენას“.

ძლივს ძლივობით იგდო ხელში ბ. კარპინსკიმ საჩივრის წიგნი. „წესიერების დამცველებმა“ ბევრი რამ უთხრეს უკადრისი და შეურაცხყვეს ბ. კარპინსკი, მიუხედავად იმისა, რომ ინჟენერის ფორმაში იყო. რა ოინი მოუვიდოდა ბ. კარპინსკის ფორმა რომ არ ცმოდა?!. წერილის დასასრულ ბ. კარპინსკი ეკითხება ვისაც ჯერ არს:

1) აქვს თუ არა ჟანდარმს ნება სცემოს მგზავრებს? 2) აქვს თუ არა ჟანდარმს ნება მგზავრს მოთხოვნისთანავე არ მისცეს საჩივრის წიგნი? 3) აქვს თუ არა ჟანდარმს ნება თქვენ მაგიერ შენ უთხრას მგზავრს, მით უმეტეს სამსახურის კაცს? 4) აქვს თუ არა ჟანდარმს ნება თავისი გვარი არ გამოუცხადოს საჩივრის ჩამწერს? 5) უნდა მოექცეს თუ არა თავაზიანად ჟანდარმი მგზავრს, რომელიც მას სრულიად თავაზიანად ექცევა?

პროვინცია

ს. ეწერი (ქუთ. მაზრა). სოფ. ეწრის მდებარეობა ს. დიდ-ჯიხაიშის, კულაშის და დაბა სამტრედიის მახლობლად კაცს აფიქრებინებს, რომ აქაც რაიმე იმგვარი დაწესებულება იქნება, როგორიც დიდი ხნის ზემო დასახელებულ ადგილებშია, მაგ.; სკოლები, სამკითხველო, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა და სხვა, მაგრამ ტყუილად დავიწყებთ აქ ამგვარების ძებნას: აქ შეხვდებით მარტო ერთ სამინისტრო სკოლას, რომელიც უყურადღებობის გამო საცოდავ მდგომარეობაშია და რომლის გაორკლასიანებას საშველი არ დაადგა. ერთი სამრევლო სკოლაც გვაქვს, მაგრამ უბინაობის გამო იმასაც სიცოცხლის ნიშან-წყალი არ აჩნია. ამ ბოლო ხანებში ჩვენი საზოგადოებაც გამოღვიძების გზას დაადგა. რამდენიმე პირებმა მოიწადინეს შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის დაარსება. ისინი ეცადნენ გამოენახათ იმისთანა წყარო, საიდანაც ხალხს ადვილად შეეძლებოდა საწევრო ფულის შეტანა ბანკში, და მიზანსაც მშვენივრად მიაღწიეს. 8 ივლისს მომხდარ ყრილობაზე სოფლის სამმართველოში იმათ შემდეგი წინადადება მისცეს ხალხს: «რადგანაც „ელიობა“ (ს. ეწერში და ჯიქთუბანში დღესასწაულობენ წმ. ილიას დღეს 20 ივლისს) ძლიერ უდროვო დროს არის (დიდას ნაყიდი ხორცი შუადღეზე არ ვარგა და შუა დღის—საღამოს სიცხისა გამო), მასთან გამოიწვევს დიდ ხარჯებს (საზოგადოების დიდი უმრავლესობა ამ დღესასწაულის გამო ვალიანდება), ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ ამ უსაფუძვლო ხარჯების შესამოკლებლად და, თუ ჩვენთვის სასარგებლოდ ვსცნობთ, თანდათანობითი მიუღლით მოვსპოთ ამ დღეს ჩვეულებრივი სტუმრიანობა-ლოთობა და ამისგან გამოწვეული ჩხუბი და კაცის კვლა და ამის მაგიერ დავიარსოთ შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობათ». ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება ამ წინადადებას და ხელი მოაწერა შემდეგ დადგენილებას: მოსპობილ იქმნას „ელიობა“, როგორც საზიანო ჩვეულება, და ამის მაგიერ დაარსებულ იქნას შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. ამასთანავე ყრილობამ მამასახლისს დაავალა ეწრის საზოგადოების გადაწყვეტილება აცნობოს სხვა საზოგადოებათა მცხოვრებთ. ამის სისრულეში მოსაყვანად მამასახლისმა, რომელიც დიდის ენერგიით და სიყვარულით ეკიდებოდა ამ საქმეს, მიმართა სამტრედიის ნაწილის ბოქაულს და სთხოვა თავის საბოქაულოში ეს დადგენილება გაევრცელებინა; მაგრამ, საუბედუროდ, მან დადგენილება არ მოიწონა, მას ძლიერ ეოცა დღესასწაულის მოსპობა. იმას ეგონა ეწრის საზოგადოება კალენდრიდან წმ. ელიას დღეობის (20 ივლისის) ამოშლას ითხოვსო.

კა—ნი

პიატიგორსკი. დღეს, 15 ივლისს, შესრულდა სამოცი წელიწადი იმ დღიდან, რაც მოკლულ იქმნა ხმალში გასვლის დროს დიდი პოეტი რუსეთისა ლერმონტოვი. ამიტომ დღეს აქ დიდის ამბით გადიხადეს პანაშვიდი იმ ადგილზე, სადაც იგი, ვითომც, მოკლა მარტინოვმა. დიდის მატარებლით აუარებელი ხალხი მოაწყდა პიატიგორსკს ყველა აქაური კურორტებიდან. დანიშნულ დროზე გადიხადეს პანაშვიდი დიდი ამბით. პანაშვიდის შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა მასწავლებელმა ჩერნოვმა, რომელიც პეტერბურგიდან არის ჩამოსული. ამ სიტყვაში მან მშვენიერად განმარტა განსვენებული პოეტის მნიშვნელობა მთელი რუსეთისათვის. ამას გარდა, ბევრი შესაფერი ლექსები იყო წაკითხული სახსოვარს ადგილზე. ბოლოს მიუმატეს პოეტის ძეგლს დღევანდელი დღის სახსოვრად ერთი პატარა მონუმენტი. პიატიგორსკის გარდა გადახდილ იყო პანაშვიდები ყველა აქაურ კურორტებზე.

საღამოს ცნობილმა ფორკატმა გამართა მჟავე წყალზე კურზალის მოედანზე დიდი დღესასწაული, რომელსაც ხუთი ათასამდის ქალი და კაცი დაესწრო. ხალხი კიდევ მეტი იქნებოდა, რომ, სამწუხაროდ, დღესასწაულს ვაჭრული ხასიათი არ ჰქონოდა: შესვლის ბარათი 80 კ. ღირდა და ამიტომ დღესასწაულს მარტო ისეთი ხალხი დაესწრო, რომელსაც ბილეთის ყიდვა არ ეძნელებოდა.

მოსულთა რიცხვი ყველა წყლებზე 15 ათასამდის ავიდა, მაგრამ მაინც კიდე ხალხი დღითი-დღე ემატება და, უეჭველია, 20 ათასამდის ავა მისი რიცხვი. მაგრამ ამ ჯამს მარტო იმათი რიცხვი შეადგენს, რომლებსაც სეზონის ბილეთები აქვთ აღებული; ვინ იცის, რამდენი უბილეთოთ იმყოფება აქაურ წყლებზე. დარები მშვენიერი დგას და ხალხი დილიდან დაწყებული ღამის ცხრა საათამდის მშვენიერად მოწყობილ პარკებში ატარებს დროს.

გ. წყალტუბელი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ელენე ბერიძის ასულს და მატრონე კუპრაძისა დარჩოს ასულს, რომლებმაც შემოსწირეს საეკკლესიო ნივთები, მათ შორის ქართული სახარება ვერცხლის ყდაში, ბულუხაურის წმ. გიორგის ეკკლესიას.

მღ. გაბრიელ დარჩია

საღამოს დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 ივლისა.

პეტერბურგი. ყაზახთა ჯარების უმთავრესი მმართველობის უფროსის თანაშემწე გენერალ-მაიორი როძიანკო ფინლიანდიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად დაინიშნა.

დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე და დიდი მთავრინა ელისაბედ მავრიკის ასული უავგუსტოესის ვაჟი-შვილებით მთავრებით იოანნე და გაბრიელ კონსტანტინეს ძეებით, 18 ივლისს კალუგის გუბერნიაში წავიდნენ.

პარიზი. ნაშუადღევს მაროკოს ელჩები პეტერბურგში წავიდნენ; გარეშე საქმეთა სამინისტროს რამდენიმე მოხელე სადგურზე გამოემშვიდობნენ.

ლონდონი. დეპუტატთა პალატამ მიიღო მთავრობის წინადადება იმის შესახებ, რომ ლორდ რობერტსს 100,000 გირვ. სტერლინგი მიეცეს საჩუქრადაო.

ბუდაპეშტი. მინისტრად ნამყოფი დეზიდერ სილადიი გარდაიცვალა.

პარიზი. როგორც ისმის, დელკასეს მაროკოს ელჩებთან ორივე მხარისათვის სასარგებლო შეთანხმება ჩამოუგდია. ეს შეთანხმება სრულს მშვიდობიანობას აღადგენს საფრანგეთის სამფლობელოს საზღვარზე, სამხრეთისაკენ.

რედაქტორი ალ. ჭუმნია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავროსგადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. (9 ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუადამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ სამოცი (60) ვაკანსია არის: ორმოცდა ათი (50) პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და ათიც მეორეში (8 და 9 წლის ყმაწვილებისათვის); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში **არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის** და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

60 ვაკანსიიდან 55 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის, 3 მისაღებად საზოგადოების სრულს ხარჯზე და 2—საზოგადოების ნახევარ ხარჯზე.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთების ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, **მიღებული სინოდალურ კანტორისაგან**, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ ჰსურთ შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთა ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერი კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელ—მეორედ გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე. ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისთანავე და ათიც იანვარში.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20 მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему дворянской школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 27 და 28 რიცხვებში მოხდება ხელ-მეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31-ში მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისთანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1901—1902 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

ამავე პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდები ტფილისში მცხოვრებთაგანი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართოს, როგორც ფულის თავ-თავის დროზე შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც.

(10—6.—9)

Всемірная Выставка въ Парижѣ 1900 г.
1-е. Единственный заводъ въ Россіи, удостоенный высшей награды—золотой медали спеціально за коньякъ;
2-е Золотая медаль за ликеры и водки.

ГЛАВНАЯ КОНТОРА
Д. З. САРАДЖЕВА
въ Тифлисѣ.

Къ предстоящей Выставкѣ въ Тифлисѣ приготовленъ новый сортъ столоваго вина по способу казенной монополіи и съ 20-го іюли выпущенъ въ продажу подъ этикетомъ:
„СѢВЕРНОЕ ВИНО № 100“.
Вино это разлито въ монопольной (конусообразной) посудѣ; этикетъ на оборотѣ снабженъ надписью:
„Изъ ректификованнаго предварительно фильтрованнаго хлѣбнаго спирта собственнаго Владикавказскаго Винокуреннаго завода“.
Съ того же числа выпущенъ въ монопольной же посудѣ особый сортъ вина подъ названіемъ:
„НАРОДНОЕ ОЧИЩЕННОЕ ВИНО“. (3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Іюля 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.